

შეტყობინება მედიისთვის

თბილისი, 21 ოქტომბერი, 2015

EaPTC საერთაშორისო დონორთა წრეში საქართველო-სომხეთის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულების პოპულარიზაციას ახდენს

2015 წლის 23 ოქტომბერს თბილისში გაიმართება შეხვედრა, რომელიც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და საქართველო-სომხეთის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულებს მოუყრის თავს. შეხვედრის მიზანია გრანტის მფლობელი პროექტებისთვის თანადაფინანსების მოძიებაში დახმარების გაწევა.

2015 წლის 25 სექტემბერს დილიჯანში, სომხეთში, საგრანტო კონკურსის გამარჯვებულებმა საქართველოსა და სომხეთის ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების თანდასწრებით საგრანტო კონტრაქტებს მოაწერეს ხელი. რვა გამარჯვებული პროექტიდან, რომლებმაც საზღვრისპირა რეგიონული განვითარებისთვის ევროკავშირის დაფინანსება მოიპოვეს, ოთხი საგრანტო კონტრაქტი ქართველ ლიდერ პარტნიორებს გადაეცათ, ხოლო ოთხი - სომხურ ორგანიზაციებს.

განვითარებასთან დაკავშირებული საერთო სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევისთვის ერთობლივი გამოსავლის მოსაძებნად ევროკავშირმა საქართველო-სომხეთის ტერიტორიული თანამშრომლობისთვის 1.35 მილიონი ევრო გამოყო. გამარჯვებული პროექტები მიზნად ისახავს: ქვემო ქართლსა (საქართველო) და ტავუშში (სომხეთი) ინვესტიციების მოზიდვას; ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგოტექნოლოგიების პოპულარიზაციას; სამცხე-ჯავახეთსა (საქართველო) და შირაქში (სომხეთი) ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებს: სამოქალაქო განათლება, ახალგაზრდების დასაქმება და გიუმრისა (სომხეთი) და ბოლნისის (საქართველო) მოზარდებს შორის ურთიერთობების გაღრმავება.

საინფორმაციო სესიები საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო დონორთა საზოგადოებაში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საქართველო-სომხეთის პარტნიორული კავშირების შესახებ გაზრდის ცნობადობას.

ქართველი ლიდერი პარტნიორები საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ტექნიკური დახმარების პროგრამებისთვის თავიანთი პროექტების მოკლე პრეზენტაციებს გააკეთებენ. მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ დაესწრონ საინფორმაციო სესიებს, რომლებიც გაიმართება 14:00 საათზე სასტუმროში „სიტადინი“, თავისუფლების მოედანი 4, თბილისი.

პროგრამის შესახებ: აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის (EaPTC Support Programme) მიზანია ხელსაყრელი გარემო შექმნას ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამებისთვის: სომხეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო, მოლდავეთი-უკრაინა და ბელორუს-უკრაინა საზღვრისპირა რაიონებში თითოეული რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით. ასევე, იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი და რეგიონული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების პროფესიული უნარების გაძლიერებას ერთობლივი საზღვრისპირა პროექტების შემუშავებისა და განხორციელებისთვის. ევროკავშირის წვლილი EaPTC-ში არის 12.5 მილიონი ევრო.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ექვს ქვეყანას: აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. ინიციატივის მიზანია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის უფრო ახლო ურთიერთობების დამყარება, მათ შორის პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ EaPTC-ის კომუნიკაციის ექსპერტს
ტატიანა დერევიანკინას: tatiana.derevyankina@eaptc.eu
<http://www.eaptc.eu>, <https://www.facebook.com/eaptc.eu>, https://twitter.com/EaP_TC
<http://www.linkedin.com/groups/EaPTC-5109143>



პროგრამას ახორციელებს
კონსორციუმი, რომლის
ლიდერია Altair Asesores.
7-9, თაქთაქიშვილის ქ., ოფისი 1
თბილისი 0162, საქართველო
tel: +995 322 36 90 74
ელ-ფოსტა: office@eaptc.eu
პორტალი: www.eaptc.eu

პროგრამას აფინანსებს
ევროკავშირი

ევროკავშირი აერთიანებს 28 ქვეყანას და ამ ქვეყნების ხალხებს. ესაა უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობა, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემის, თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებებს. უკვე 50 წელზე მეტია, რაც ჩვენს კონტინენტზე ჩვენ შევქმენით მშვიდობის, დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის ზონა და ამასთანავე შევინარჩუნეთ კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტულობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირს სურს თავისი ღირებულებები და მიღწევები მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს გაუზიაროს.